21.07.2021
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ კახა კუჭავას

მოგესალმებით ბატონო კახა,
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო წინადადების სახით, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის პროექტს საქართველოს ორგანულ კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში, ორგანულ კანონში პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე. კანონპროექტს თან ერთვის განმარტებითი ბარათი, სადაც მოცემულია კანონპროექტის მიღების საჭიროების დასაბუთება.
გთხოვთ პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონპროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 21 ფურცელი.

მპგ „შეცვალე საქართველო"-ს
თავმჯდომარე: გიორგი გაგნიძე

George Gagnidze
[redacted]
Digitally signed by George Gagnidze
Date: 2021.07.20 15:09:13

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-10188/21
21 07 2021 წ. დრო 22

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "შეცვალე საქართველო"
ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. 14 / T: +995 595 275 000 / F: +995 32 2 982 121 / www.modefy.world

“არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის მოტყუება. ამაზე მწარე ხვედრი, ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს”.
ზვიად გამსახურდია

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;

ბ) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

გ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტის მომზადება განპირობებულია ერთის მხრივ, თვისობრივად ახალი კონსტიტუციური ნორმების მიღებასა და ორგანული კანონის მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხოლო მეორეს მხრივ ზოგადად ქვეყნის პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და განვითარების მიზნით, პოლიტიკურ პარტიათა საამომრჩევლო პასუხისმგებლობის გაზრდისა და მისი უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმების დასადგენად.

კანონპროექტი ადგენს ახალ საკანონმდებლო ნორმებს და ახლა ტერმინს - **საამომრჩევლო პასუხისმგებლობა.** ახლებური მიდგომის შემოღების მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩევლის წინაშე თვისობრივად მეტი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა შესაბამისი სასანქციო მექანიზმის მეშვეობით.

ბ) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

წლების განმავლობაში, საქართველოში პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ბარიერის გადალახვის შემდეგ, იღებდნენ რა კუთვნილ მანდატებს, არ ან მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებდნენ მათ მიერ საარჩევნო კამპანიის პერიოდში გაცემულ დაპირებებს. შედეგად, ის ამომრჩეველი, რომელმაც მათ ნდობა გამოუცხადა, არსებითად რჩებოდა მოტყუებული და რაც მთავარია, მათ არ გააჩნდათ ქმედითი ინსტიტუციური და საკანონმდებლო მექანიზმი, საპარლამენტო ვადის გასვლამდე რაიმე

სახის ზემოქმედება მოეხდინათ პარტიების პოლიტიკაზე. შედეგად, საქართველოში მანკიერ ტრადიციად ჩამოყალიბდა ქუჩის პროტესტი, რომელიც რჩებოდა და დღემდე რჩება, მოსახლეობისათვის ერთადერთ ზემოქმედების საშუალებად. ეს კი თავის მხრივ წარმოადგენს არაქმედით ინსტიტუციურ მექანიზმს, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ რისკებსა და დაკავშირებულ „გვერდით მოვლენებზე" რასაც ქუჩის პროტესტით გამოწვეული მოვლენები იწვევს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოებითი თვალსაზრისით.

შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს, დაფუძნდეს ისეთი საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც ერთის მხრივ, მოახდენს პარტიათა მიერ, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ საკუთარი დაპირებების უგულვებელყოფის პრევენციას, საამომრჩევლო ნების, როგორც მთავარი ძალაუფლებრივი დელეგატორის ქმედითობის უზრუნველყოფასა და მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიების მიმართ ლეგიტიმური საქნციების გამოყენების გზით მათი საქმიანობის მიზნობრივ უზრუნველყოფას.

გ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონოპროექტი გადაჭრის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში: პოლიტიკურ პარტიათა მიზნობრივი დანიშნულების უზრუნველყოფა მათი საპარლამენტო საქმიანობის პერიოდში. სწორედ ამ პრობლემის წლების განმავლობაში არსებობის გამო ხდებოდა, რომ პოლიტიკური პარტიების მთავარი მიზანი იყო და არის ხელისუფლებაში დარჩენა და ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება ამომრჩეველთა ნების უზრუნველყოფის იგნორირების პარალელურად.

ბოლო კვლევების მიხედვით, ქართველ პოლიტიკოსთა დ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების სრული უმრავლესობის საეთერო და სატელევიზო გამოსვლები მოიცავს 86% უსაგნო საუბარს, 12% ნაწილობრივ უსაგნო საუბარს, ხოლო დანარჩენი, მხოლოდ მიზერული ნაწილი შეეხება საგნობრივ საკითხებს. ეს მიუთითებს, რომ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილი არ მიიჩნევს თავს ანგარიშვალდებულად ამომრჩევლის წინაშე და არ ესაუბრება მათ იმ დანაპირებების შესრულებაზე, რომელთა განხორციელებასაც ისინი ამომრჩეველს საარჩევნო კამპანიის პერიოდში ჰპირდებოდნენ;

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელ ხარჯებს.

კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პარტია დაკარგავს საბიუჯეტო დაფინანსებას კანონპროექტით გათვალიწინებული სანქციების ამოქმედებისას;

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს პარტიათა საბიუჯეტო დაფინანსების გაუქმებას მომდევნო არჩევნებამდე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
ასეთი არ არსებობს
კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტის მიღება
არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.
კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

კანონპროექტის ავტორი:

გიორგი გაგნიძე

კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

კონსტიტუციის 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 37. პარლამენტის არჩევნები

2

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.

3. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.

4. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

5. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებულია არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

6. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ

მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

6.1. იმ პარტიების მიმართ, რომელბმაც არჩევნებში მიიღეს ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც, ამოქმედდება საამომრჩევლო პასუხისმგებლობის მექანიზმი;

6.2. საამომრჩევლო პასუხისმგებლობის მექანიზმი გულისხმობს არჩევნებში მონაწილეობის დროს, საარჩევნო კამპანიისას გაცემული და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ძირითადი პარტიული დაპირებების უმრავლესობის შეუსრულებლობის გამო მიღებული საარჩევნო მანდატების ავტომატურ ანულირებას;

6.3. საარჩევნო პასუხისმგებლობის მექანიზმის ამოქმედების, რეგისტრაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით;

7. პარლამენტის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

კონსტიტუციის 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 39. საქართველოს პარლამენტის წევრი

1

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია, გარდა კონსტიტუციის 37-ე მუხლში მითითებული პირობების დადგომისას;

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

4. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული

ფუნქციების შესრულებას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი.

5. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

ა) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

6. პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე გამონაკლისის წესით, გადაწყვეტილება ამოქმედდება ავტომატურად, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

კონსტიტუციის 57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 57. უნდობლობის გამოცხადება

+

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

2. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

3. თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

4. თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

5. არჩევნებიდან 1 წლიანი საპარლამენტო საქმიანობის ვადის შემდგომ, საამომრჩევლო პასუხისმგებლობის საკითხის დადგომის შემთხვევაში, პარლამენტი ვალდებულია დასვას მთავრობის უნდობლობის გამოცხადების საკითხი არაუმეტეს 2 კვირის ვადაში საკითხის დადგომიდან. თუ პარლამენტი არ დასვამს უნდობლობის საკითხს, საქართველოს პრეზიდენტი არაუგვიანეს ორი კვირისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს არჩევნებს.

6. იმ შემთხვევაში, თუ უნდობლობის საკითხის დასმის შემდეგ მთავრობას უფლებამოსილება არ შეუწყდა, საქართველოს პრეზიდენტი, არაუგვიანეს ორი კვირისა, დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

კონსტიტუციის 78-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

+

78.1 კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

78.2 კონსტიტუციური კანონი ამოქმედდეს 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღიდან.

კანონპროექტი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) რეფერენდუმი – საერთო-სახალხო გამოკითხვა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომელიც იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ბ) პლებისციტი – ფარული კენჭისყრის გზით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად, რომლის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა;

გ) არჩევნები – საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა;

დ) საერთო არჩევნები – მორიგი ან რიგგარეშე არჩევნები:

დ.ა) მორიგი არჩევნები – არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და სათანადო კანონებით დადგენილ ვადებში;

დ.ბ) რიგგარეშე არჩევნები – არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო;

ე) შუალედური არჩევნები – შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული არჩევნები, რომელიც ტარდება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად;

ვ) ხელახალი არჩევნები – არჩევნები, რომლებიც მორიგი არჩევნებისათვის დადგენილი წესით ხელახლა ტარდება:

ვ.ა) თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და ამ კანონით დადგენილი წესით მოიხსნა მისი კანდიდატურა;

ვ.ბ) თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა საარჩევნო სუბიექტმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი, ან არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა საარჩევნო ოლქების ნახევარზე მეტში;

ვ.გ) თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ზ) განმეორებითი კენჭისყრა – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი;

თ) არჩევნების მეორე ტური – კენჭისყრა, რომელიც იმართება ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ვადებში, როდესაც არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა;

ი) არჩევნების (კენჭისყრის) დღე – საერთო, შუალედური ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე, ასევე მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის დღე;

ი[1]) საარჩევნო პერიოდი/სარეფერენდუმო პერიოდი – არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის ამოქმედების დღიდან შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების/რეფერენდუმის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით დროის მონაკვეთი;

კ) პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე;

ლ) მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები მაჟორიტარული ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით;

მ) საარჩევნო უფლება – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება;

ნ) აქტიური საარჩევნო უფლება – საქართველოს მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში;

ო) პასიური საარჩევნო უფლება – საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად;

ო[1]) არჩევნებში/რეფერენდუმში მონაწილეთა ხმები – ამომრჩეველთა ხმების რაოდენობა, რომელიც დგინდება საარჩევნო ყუთში/ყუთებში არსებული ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამის მიხედვით და არ მოიცავს ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით მიღებულ ხმებს;

პ) საარჩევნო რეგისტრაცია – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პარტიების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების, პარტიული სიების, მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარული წესით წარდგენილ ცალკეულ კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით;

ჟ) საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი – პირი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია რეგისტრაციისათვის შესაბამის საარჩევნო კომისიაში;

რ) საარჩევნო სუბიექტი – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტია, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი;

რ2. საამომრჩევლო პასუხისმგებლობა - საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც ავტომატურ ამოქმედებას იწყებს მორიგი არჩევნების შემდეგ ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან არაუადრეს 1 წლისა და რომლის განხორციელება იწვევს არჩევნებში გამარჯვებული პარტიების მიმართ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს;

რ[1]) (ამოღებულია - 02.07.2020, №6723);

ს) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ – ცესკო) და მისი აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები (შემდგომ – უსკო) და მათი აპარატები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;

ტ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე – საარჩევნო კომისიის წევრი და აპარატის თანამშრომელი;

უ) პარტია – „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მოქმედი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულია არჩევნებში მონაწილეობის მიზნით;

უ[1]) (ამოღებულია - 02.07.2020, №6723);

ფ) (ამოღებულია - 21.07.2018, №3266);

ქ) საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოს მიერ რეგისტრირებული, საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;

ღ) მერობის კანდიდატი – მერის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე;

ყ) პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატი – საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიულ სიაში შეყვანილი საქართველოს მოქალაქე;

შ) მაჟორიტარი კანდიდატი – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;

ჩ) საარჩევნო ოლქი – სამოქმედო ტერიტორია (ადმინისტრაციული საარჩევნო დანაყოფი), რომელშიც ხორციელდება არჩევნებისა და რეფერენდუმის ორგანიზება და ტარდება არჩევნები და რეფერენდუმი;

ც) (ამოღებულია - 21.07.2018, №3266);

ძ) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომელიც იქმნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების მაჟორიტარული წესით ასარჩევად;

წ) საარჩევნო უბანი – ადმინისტრაციული საარჩევნო დანაყოფი, რომელიც იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კენჭისყრისა და ხმების დათვლისათვის არჩევნებისა და რეფერენდუმის გამართვისას;

ჭ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო; საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულო, თვითმმართველი თემის საკრებულო, თვითმმართველი ქალაქის საკრებულო;

ჭ[1]) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო – მერი;

ხ) პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანო – მერი, სახელმწიფო რწმუნებული;

ჯ) პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს

წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

ჰ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ჰ[1]) წინასაარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა;

ჰ[2]) საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯები – საარჩევნო სუბიექტის/რეფერენდუმში მონაწილის საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (ასახული საბაზრო ფასებით), გარდა ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა;

ჰ[3]) საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია – ინფორმაცია საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯების, უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების, შემოწირულების წყაროს, ოდენობის და მიღების თარიღის შესახებ;

ჰ[4]) საარჩევნო შემოწირულება – საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის დროს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, გარდა ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო საეთერო დროის ღირებულებისა;

ჰ[5]) საარჩევნო დოკუმენტაცია – საარჩევნო კომისიაში შესული და საარჩევნო კომისიიდან გასული განცხადება, საჩივარი, წერილი, ოქმი, საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური კონვერტი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი, საკონტროლო ფურცელი, სარეგისტრაციო ჟურნალი, ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი, საარჩევნო კომისიის წევრის ახსნა-განმარტება;

ჰ[6]) ბიომეტრიული რეგისტრაცია – ამ კანონით დადგენილი წესით ბიომეტრიული ფოტოსურათის გადაღება და პირადი მონაცემების აღრიცხვა (ანკეტირება), აგრეთვე საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის ფლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირზე ეს დოკუმენტი გაიცა ამ კანონით დადგენილი წესით ბიომეტრიული რეგისტრაციის გავლის შემდეგ;

ჰ[7]) სააგიტაციო მასალა – პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი;

ჰ[8]) სააგენტო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

ჰ[9]) მხარდაჭერის მიმღები – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული პირები;

ჰ[10]) კენჭისყრის შენობა – შენობა ან შენობის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახი;

ჰ[11]) ფოტოასლი – ასლის გადამღები მოწყობილობით გადაღებული ასლი;

ჰ[12]) საარჩევნო კოლეგია – საქართველოს პრეზიდენტის არჩევის მიზნით 300 წევრისგან შემდგარი სპეციალური ორგანო, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია ცესკოს განკარგულებით.

მუხლი 14 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

[მუხლი 14. ცესკოს უფლებამოსილება]

1. ცესკო:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას;

ბ) დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს;

ბ[1]) დადგენილებით განსაზღვრავს ცესკოს წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხებს;

ბ[2]) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის მორიგი, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნების გამართვას;

გ) გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამ კანონით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე;

დ) განკარგულებით განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებსა და წესს;

ე) ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს ან/და აზუსტებს მათ საზღვრებს;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხთა გადასაწყვეტად, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, შექმნას სპეციალური ჯგუფი, განსაზღვროს მისი უფლებამოსილების ფარგლები და მოქმედების ვადა;

ზ) თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

თ) ამ კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

ი) განკარგულებით ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს;

კ) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, ამ კანონით საარჩევნო დავების განხილვისათვის დადგენილი წესით ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით ბათილად ცნობს ან ცვლის მათ; განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ. საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შემთხვევაში ცესკომ ეს უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და მათი სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება ხელახლა დათვლის პროცესზე;

კ[1]) განკარგულებით განსაზღვრავს საარჩევნო კოლეგიაში პოლიტიკური პარტიების მიერ დასასახელებელ წევრთა კვოტებს;

კ[2]) განკარგულებით ამტკიცებს საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი წესით;

კ[3]) განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს;

ლ) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების (პარტიული სიებით), ქალაქ თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით გამართული არჩევნების, ქალაქ თბილისის მერის არჩევნების, რეფერენდუმის/პლებისციტის შედეგებს, რის თაობაზედაც დგება ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

ლ[1]) ადგენს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, რის თაობაზედაც დგება ცესკოს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

მ) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დამკვირვებლის სტატუსს ამ კანონში აღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს;

ნ) დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს;

ნ[1]) განკარგულებით განსაზღვრავს საოლქო საარჩევნო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის რაოდენობას და თანამდებობრივი სარგოების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს;

ო) განკარგულებით ადგენს საარჩევნო/სარეფერენდუმო/ საპლებისციტო ბიულეტენების ფორმას; საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის მერის, ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისა და სარეფერენდუმო/საპლებისციტო ბიულეტენების ტექსტებს; საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების სახეებს; ამ კანონით განუსაზღვრელი, მაგრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს;

პ) ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში;

ჟ) უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და დაუყოვნებლივ განთავსებას ცესკოს ვებგვერდზე,

ხოლო ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მის ცესკოს ვებგვერდზე განთავსებასაც;

რ) წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს;

ს) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას და გავრცელებას;

ტ) დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების დებულებას და ცესკოს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსების დებულებებს;

უ) უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული სწავლების მონიტორინგს;

ფ) ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ქ) პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის, მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის (გვარი, სახელი; ფოტოსურათი; დაბადების თარიღი; მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის – აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი; მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის და პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით – ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი; ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის რეგისტრაციის თარიღი) ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის. საარჩევნო უბნების იმ ამომრჩეველთა საარჩევნო სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე საარჩევნო პერიოდში მათთვის გასაგებ ენაზედაც უნდა განთავსდეს;

ღ) დადგენილებით განსაზღვრავს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებით წესს და კენჭისყრის პროცედურებს;

ღ[1]) უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს არჩევნებში საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მათ მიერ დანიშნული დამკვირვებლების, მედიის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა მიერ ელექტრონული საშუალებებით განაცხადების წარდგენის, საარჩევნო რეგისტრაციის/აკრედიტაციის ჩატარების, პარტიების/საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ ელექტრონული საშუალებებით კომისიის წევრთა და წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის წესი და პირობები, აგრეთვე სხვა საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები, გარდა კენჭისყრის დღის პროცედურებისა;

ყ) ცესკოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე განკარგულებით ამტკიცებს საშტატო ნუსხასა და ხარჯთაღრიცხვას;

ყ[1]) განკარგულებით ადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლების მიერ პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესს;

შ) დადგენილებით ამტკიცებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სპეციალური სწავლების წესსა და პირობებს;

შ[1]) დადგენილებით განსაზღვრავს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნის პირობებს;

ჩ) განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნებთან/რეფერენდუმთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას;

ც) აწარმოებს იმ საარჩევნო კომისიის წევრთა შესახებ მონაცემთა ბაზას , რომელთა მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ ; რომლებ
ი
საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამარ
თლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებო
ბიდან ; რომელთაც შეეფარდათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მათ მიერ სამსახუ
რებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულების
თვის ;

ძ) დადგენილებით ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულებას;

წ) დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს;

ჭ) განკარგულებით ამტკიცებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს;

ხ) განკარგულებით ამტკიცებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიულ და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს;

ჯ) განკარგულებით ადგენს საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების წესსა და ვადებს;

ჯ[1]) დადგენილებით ადგენს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებით წესს;

ჯ[2]) განკარგულებით ირჩევს ცესკოს წარმომადგენლებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ჯ[3]) ერთდროულად სხვადასხვა სახის არჩევნების ჩატარების შემთხვევაში განკარგულებით ადგენს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის დამატებით წესსა და ვადებს;

ჯ[4]) საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა განკარგულებით განსაზღვრავს ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებათა ჩამონათვალს;

ჰ) განკარგულებით ადგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატებისთვის;

ჰ[1]) განკარგულებით განსაზღვრავს საარჩევნო კოლეგიის წევრებს, რომლებსაც შესაბამისი პოლიტიკური პარტიები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ ამ კანონით განსაზღვრული კვოტების შესაბამისად;

ჰ[2]) ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ცესკოს ყველა დადგენილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც. ცესკოს განკარგულება, რომელიც ეხება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“–„მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, ქვეყნდება მიღებიდან 3 დღის ვადაში.

3. ცესკო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ცესკოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზედაც.

4. ახორციელებს საამომრჩევლო პასუხისმგებლობის მექანიზმის ამოქმედებასა და ზედამხედველობას შესრულებაზე საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კოდექსით დადგენილი წესით;

4.1. ამ მიზნით, ქმნის შესაბამის პარტიულად ნეიტრალურ სამსახურს, რომლის შემადგენლობა და ფორმირების წესი განისაზღვრება ამ კოდექსით;

4.2. ამტკიცებს საარჩევნო პასუხისმგებლობის ერთეულის რეგლამენტს;

საარჩევნო კოდექსს დაემატოს შემდეგი თავი:

თავი XX. საამომრჩევლო პასუხისმგებლობა

მუხლი 184. საამომრჩევლო პასუსიხმგებლობის რეგისტრაცია.

1. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი პროცედურითა და შესაბამისი ფორმის მიხედვით, მოახდინონ თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამის რეგისტრაცია.
2. საამომრჩევლო პასუხისმგებლობა პარტიებზე ვრცელდება იმის მიუხედავად, ახორციელებენ თუ არა ისინი თავიანთ საპარლამენტო საქმიანობას დამოუკიდებლად თუ კოალიციურ ფორმატში;
3. კოალიციაში შემავალ პარტიებზე თანაბრად ვრცელდება ერთ კოალიციაში შემავალ პარტიაზე განხორციელებული საამომრჩევლო პასუხისმგებლობა;
4. წინასაარჩევნო პროგრამის რეგისტრაციისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებში მონაწილე პარტიებმა უნდა მიმართონ არაუგვიანეს საარჩევნო კამპანიის დაწყების დღისა.
5. საარჩევნო პროგრამის რეგისტრაციის ფორმა უნდა მოიცავდეს პრიორიტეტულ, ნაკლებად პრიორიტეტულ და ზოგად საპროგრამო პუნქტებს.
6. არჩევნებში მონაწილე პარტიები თვითონ წყვეტენ თუ რომელ 4 საკითხს მიანიჭონ ყველაზე მაღალი პრიორიტეტულობა.
7. პოლიტიკური პარტია თავად ადგენს თუ რომელ პრიორიტეტულ საკითხს რა ვადა დასჭირდება გადასაწყვეტად.
8. პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პროგრამას ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში გაატარებს თუ პროგრამა მოიცავს:

   ა) საპროგრამო საკითხების დაზუსტებულ პრიორიტეტებს დადგენილი ფორმის მიხედვით;

   ბ) თუ პროგრამა დაზუსტებით ახდენს პრიორიტეტული საპროგრამო საკითხების განხორციელების ვადებს;

გ) თუ წარდგენილი პროგრამა არ წარმოადგენს მხოლოდ ზოგადი საკითხების დანაპირებებს და მასში კონკრეტულად არის მოცემული როგორც საპროგრამო საკითხები, ისე მათი განხორციელების ვადები;

მუხლი 185. საარჩევნო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის პროცედურა.

1. საარჩევნო პასუხისმგებლობის მექანიზმის რეგისტრაციაზე, მონიტორინგსა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სპეციალური ნეიტრალური ერთეული რომელიც იქმნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში.
2. ერთეულის ფორმირება ხდება მხოლოდ იმ მაღალი პროფესიული კვალიფიციკაციის პირების მიერ, რომლებიც არ ყოფილან პოლიტიკური პარტიის წევრები, მათი საქმიანობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული პოლიტიკასთან, მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია, ასევე საზოგადოებრივი ავტორიტეტი არ დგას ეჭვის ქვეშ.
3. ერთეული შედგება 12 სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტისგან, რომელთაც ღია კონკურსის წესით არჩევს საქართველოს პრეზიდენტი. სპეციალისტთა კონკურსი საჯაროა და გადაიცემა პირდაპირი ეთერით.
4. სპეციალისტთა კანდიდატებს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენენ:
   - სახალხო დამცველი;
   - არასამთავრობო ორგანიზაციები;
   - საინიციატივო ჯგუფი;
   - საგანმანათლებლო დაწესებულებები;
   - პროფესიული კავშირები;

5. დაუშვებელია ერთეულის წევრი იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.
6. ერთეულის წევრთა მინიმალური ასაკია 35 წელი.
7. საარჩევნო პასუხისმგებლობის ერთეულის კომპეტენცია:
   7.1 შეიმუშავებს საარჩევნო პასუხისმგებლობის სარეგისტრაციო ფორმას.
   7.2 ახდენს არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიების მიერ რეგისტრირებული საარჩევნო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს.
   7.3 საარჩევნო პასუხისმგებლობის საანგარიშო წელში, ყოველ მომდევნო საპარლამენტო წელში პირველი წლის შემდგომ, აქვეყნებს დასკვნას თითეული საპარლამენტო პარტიის მიერ რეგისტრირებული პროგრამის მთავარი პრიორიტეტების შესრულების თაობაზე. დასკვნა უნდა მოიცავდეს იმ პირობების აღწერას რამაც ობიექტურად ხელი შეუშალა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებას;
   7.4 ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ყოველ მე-13 თვეს პარლამენტის მინიმუმ ერთი მანდატის მქონე პარტია ერთეულ წარუდგენს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში მის მიერ რეგისტრირებული საარჩევნო დაპირებების შესრულების თაობაზე.

7.5 დასკვნა ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საამომრჩევლო მექანიზმის ავტომატური ამოქმედების ვადამდე არაუგვიანეს ორი კვირით ადრე;

7.6 უფლებამოსილია გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან, გარდა საიდუმლო ინფორმაციისა ან ინფორმაციისა რომელსაც მინიჭებული აქვს შეზღუდული მოხმარების გრიფი;

7.7 უფლებამოსილია დანიშნოს აუდიტი, ექსპერტიზა ან სხვაგვარი შემოწმება იმ დაწესებულებებისა ან საქმიანობისა, რომელთა თაობაზე რეგისტრირებული პროგრამა მიუთითებს პრიორიტეტულად; უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები გარკვეული ვადით, დასკვნის მიზნებისათვის;

7.8 ერთეული დასკვნას იღებს ხმათა 2/3 უმრავლესობით, ერთეულის რეგლამენტის მიერ დადგენილი წესით;

8. ერთეული ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტიდან, წინასწარ განსაზღვრული ასიგნებების პირობებში, რომელთა შემცირება, შეკვეცა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია დაუშვებელია.

9. საამომრჩევლო პასუხისმგებლობის ფარგლებში მიღებული დასკვნა შესაძლებელია გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს პლენუმზე არაუგვიანეს ერთი თვისა.

კანონს დაემატოს 203.1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

13. ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ამოქმედდეს 2024 წლის მორიგი არჩევნების საფუძველზე შექმნილი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.

კანონპროექტი

ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

მუხლი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1

1. პოლიტიკური პარტია (შემდგომ – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.

2. ეს კანონი განსაზღვრავს პარტიის უფლებებსა და ვალდებულებებს, სტატუსს, შექმნისა და საქმიანობის წესებს, მისი ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ წესებს, აგრეთვე პასუხისმგებლობას ამ კანონითა და საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევისთვის.

3. პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული, ამ კანონით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს.

4. განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ფიზიკურ პირზე ამ კანონთან ერთად ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დამოუკიდებელი კანდიდატისთვის დადგენილი ნორმები.

5. საარჩევნო კამპანიის ხარჯების რეგულირებასთან დაკავშირებით, მათი კანონიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ამ კანონით დადგენილი ნორმები გამოიყენება საქართველოს ორგანულ კანონთან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ერთად.

მუხლი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2

1. პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.
2. პარტია იქმნება მოქალაქეთა და ამომრჩეველთა ნების განსახორციელებლად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
3. პარტია შეზღუდულია მოქალაქეთა წინაშე საამომრჩევლო პასუხისმგებლობით.

მუხლი 30 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 30

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო.

3. პარტია ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს თანხას საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.

4. პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ყოველწლიურად, არაუგვიანეს 25 ნოემბრისა. თუ პარტიამ კანონით დადგენილ

ვადაში არ წარადგინა წერილობითი თანხმობა მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე, ამ ვადის გასვლიდან მეორე დღეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წერილობით აცნობებს პარტიას ამის შესახებ. პარტიას უფლება აქვს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შესაბამისი თანხმობა. თუ პარტიამ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში კვლავ არ წარადგინა შესაბამისი თანხმობა, იგი კარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას, რის შესახებაც მას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წერილობით აცნობებს. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია პარტიის მიერ მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვიდან 5 დღეში აღნიშნული თანხა დააბრუნოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. პარტია დაკარგავს საბიუჯეტო დაფინანსებას მის მიმართ საამომრჩევლო მექანიზმის საფუძველზე შეწყვეტილი საპარლამენტო უფლებამოსილების შემდეგ მომდევნო არჩევნებამდე.

6. პარტიას აღუდგება დაფინანსება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის მიმართ აღსრულებული საამომრჩევლო პასუხისმგებლობის მექანიზმის საფუძველზე შეწყვეტილი საბიუჯეტო დაფინანსების ბათილად ცნობისათვის;

მუხლი 39 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

<u>მუხლი 39</u>

1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პარტიები ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 1998 წლის 1 მარტამდე.

2. ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში პარტიაზე არ ვრცელდება <u>ამ კანონის მე-12 მუხლით</u>, აგრეთვე <u>22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით</u> გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. (ამოღებულია).

4. (ამოღებულია).

5. (ამოღებულია).

6. (ამოღებულია).

7. <u>ამ კანონის 30-ე მუხლის მე-10 პუნქტით</u> დადგენილი წესი 2011 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება იმ პარტიაზე, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით.

8. (ამოღებულია).

9. <u>ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით</u> დადგენილი წესი ვრცელდება 2007 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგებზე.

10. 2009 წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების შესახებ პარტიებმა წინასწარი წერილობითი თანხმობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 2009 წლის 31 იანვრისა.

11. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე 7 საარჩევნო სუბიექტს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში, ერთჯერადად მიეცეს საბაზო დაფინანსების ოდენობის ნახევარი. ასეთი საარჩევნო სუბიექტი დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ პუნქტის ამოქმედებიდან 20 დღის ვადაში. თუ პარტიამ დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაბამისი მოთხოვნა, იგი კარგავს ასეთი დაფინანსების მიღების უფლებას, რის შესახებაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური მას წერილობით აცნობებს.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი თანხა შესაბამის სუბიექტებს მიეცეთ ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

13. ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ამოქმედდეს 2024 წლის მორიგი არჩევნების საფუძველზე შექმნილი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.